ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ
ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ

განკარგულება:**g-13. 13230342**

თარიღი:**03/02/2023**

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა'' ქვეპუქტისა და ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული დანართის (რეგლამენტი) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N60Ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალბატონებო და ბატონებო,
პატივცემულო სტუმრებო,

მოგესალმებით და მადლობას გიხდით თითოეულ თქვენგანს მობრძანებისათვის! დღევანდელი შეხვედრის ფორმატში ანგარიშს წარვადგენთ გაწეული საქმიანობის შესახებ და შევაჯამებთ გასულ 2022 წელს, ასევე ერთად ვიმსჯელებთ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებზე, ძირითად პრიორიტეტებზე და საჭიროებებზე. მინდა მუნიციპალიტეტის სახელით მადლობა გადაგიხადოთ ყველას თანადგომის, მხარდაჭერისა და აქტიურობისათვის, რითაც თქვენი წვლილი შეგაქვთ მუნიციპალიტეტის განვითარებაში.

როგორც უკვე აღვნიშნე, დღევანდელი ჩვენი შეხვედრის მიზანია, ერთის მხრივ შევაჯამოთ გასული წლის მუშაობა და ის ძირითადი მიღწევები, რომელიც სახეზე გვაქვს, მეორის მხრივ ვისაუბროთ სამომავლო გეგმებზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მუნიციპალიტეტში რადიკალურად შეცვლილი მდგომარეობა გვაქვს, ჩვენი მთავარი პრიორიტეტებია როგორც ინფრასტრუქტურის განვითარება, ისე ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების დაცვა. ეს, ის ძირითადი მიმართულებებია, რომლებიც ორიენტირებულია სწორედ ჩვენი მოსახლეობის მხარდაჭერაზე, ცხოვრების დონის ამაღლებაზე და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი:

დამტკიცებული - 21 630,00 ათასი ლარი;

წლის ბოლოს დაზუსტებული: 39 837,4 ათასი ლარი

2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროგრამების მიხედვით:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 11 520,1 ათასი ლარი;

დასუფთავება და გარემოს დაცვა - 2 597,8 ათასი ლარი;

განათლების ხელშეწყობა - 4 434,8 ათასი ლარი;

კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის ხელშეწყობა - 3 460,2 ათასი ლარი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1 773,2 ათასი ლარი;

ინფრასტრუქტურის განვითარება

2022 წელს ინფრასტრუქტურის კუთხით არსებული საჭიროებების უზრუნველსაყოფად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით განხორციელდა **114 ინფრასტრუქტურული პროექტი,** რომელთა საერთო **ღირებულება შეადგენს 19 079 101 ლარს.**

დაფინანსების წყაროების მიხედვთ: რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 18 პროექტი, ღირებულებით, 10 394 919 ლარი; ადგილობრივი ბიუჯეტი - 39 პროექტი, ღირებულებით 5 566 871 ლარი; სკოლები - 3 პროექტი, ღირებულებით 84 444 ლარი; „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" - 51 პროექტი, ღირებულებით 1 974 743 ლარი; სტიქიის პრევენციის ფონდი - 2 პროექტი, ღირებულებით 533 467 ლარი; მთის ფონდი - 1 პროექტი, ღირებულებით 524 657 ლარი.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია: 2022 წელს, ჯამში 16 კილომეტრამდე სიგრძის გზა მოწესრიგდა. განხორციელდა 10 მასშტაბური პროექტი, 14 სოფელში კი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში" შიდა გზები მოწესრიგდა.

მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურული ადმინისტრაციულ ერთეულებში: სოფელ წყრუთისა და წირის დამაკავშირებელი გზა, სოფელ ტყელმლანის საავტომობილო გზა, სოფელ თისელთან მისასვლელი საავტომობილო გზა, სოფელ წნისის შიდა საავტომობილო გზა, სოფელ გიორგიწმინდის შიდა საავტომობილო გზა, სოფელ საძელისა და ყულალისის დამაკავშირებელი გზა, სოფელ ანის საავტომობილო გზა.

ქალაქ ახალციხეში მიმდინარე და განხორციელებული საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები: საფარის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია; რუსთაველის ქ.#124-ისა და 9 აპრილის ქუჩების დამაკავშირებელი გზა; რაბათის დასახლებაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზა; თამარაშვილის ქუჩის მონაკვეთი.

სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია: სასმელი წყლის შიდა ქსელი მოეწყო სოფელ ურაველსა და მუგარეთში. სოფელ აწყურში განხორციელდა სასმელი წყლის შიდა ქსელის, სალექარისა და არსებული ფილტრების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია: დასრულდა ე.წ „მლაშიხევის" დახურული სანიაღვრე არხის სამშენებლო სამუშაოები; პროექტი რამდენიმე ეტაპად განხორციელდა, მიმდინარე წელს, მე-3 ეტაპის ფარგლებში, 108 მეტრი სიგრძის რკინა-ბეტონის არხი მოეწყო; შედეგად, მიმდებარე ქუჩების მაცხოვრებლებისთვის წლების განმავლობაში არსებული პრობლემა მოგვარდა.

სახურავების რეაბილიტაცია: მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გრძელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია. დაზიანებული და ამორტიზებული სახურავები შეიცვალა 6 სახლში. ინფრასტრუქტურული სამუშაოები რუსთაველის, ნათენაძის, იაძის, ივერიელის, ფარნავაზ მეფისა და ქეთევან დედოფლის ქუჩებზე განხორციელდა

საბავშვო ბაღები: ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩა № 124-ში ახალი, თანამედროვე სტანდარტების მქონე № 7 საბავშვო ბაღი აშენდა, რომელიც 180 აღსაზრდელზეა გათვლილი. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა. № 6 საბავშვო ბაღში მოეწყო ახალი ღობე და ბავშვთა გასართობი მოედანი. ქალაქის N1, N3, N5, N6 საბავშვო ბაგა-ბაღებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის და სკოლამდელი აღზრდის ერთობლივი ორგანიზებით ენერგოეფექტურობის მიზნით განხორციელდა შენობის სახურავებზე მზის პანელების მონტაჟი. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებისათვის შეძენილი იქნა ელექტრო ტექნიკა, ჭურჭელი, სათამაშოები და საკანცელარიო მასალა.

ტურისტული და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ახალციხის ხელოვნური ტბის მიმდებარედ: მოეწყო კალათბურთის, ფეხბურთისა და ჩოგბურთის მოედნები; საფეხმავლო და ველობილიკები; დასასვენებელი და საბავშვო- გასართობი სივრცეები;

რუსთაველის ქ. №124-ში განხორციელებული და მიმდინარე მასშტაბური პროექტები: ახალგაზრდული ცენტრისთვის მოეწყო 2 სართულიანი და 3 სართულიანი შენობები; რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ კომპლექსს; გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი; მოეწყო საგზაო ინფრასტრუქტურა; მიმდინარეობს სკვერის რეაბილიტაცია;

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“: პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 46 დასახლებაში სხვადასხვა სახის 51 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მოსახლეობის მიერ არჩეულ პრიორიტეტებს შორის არის: შიდა გზები, გარე განათება, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები, სანიაღვრე არხები, სკვერები და სხვა.

სკვერები და სპორტული მოედნები: ქალაქ ახალციხეში ზარზმელის ქუჩაზე მოეწყო სკვერი და საბავშვო გასართობი სივრცე; ქალაქ ახალციხეში, ივანე ახალციხელის ქუჩაზე საბავშვო-გასართობი და სპორტული მოედნები მოეწყო; სოფელ ხეოთში ახალი სპორტული მოედანი მოეწყო; ქ. ახალციხეში, 9 აპრილის ქუჩაზე მიმდინარეობს სკვერის მოწყობა; სოფელ ზიკილიაში სკვერი და სპორტული მოედანი ეწყობა; სოფელ სხვილისში და ქალაქ ახალციხეში, რუსთაველისა და ტაბიძის ქუჩებზე მიმდინარეობს სპორტული მოედნების მშენებლობა; ქალაქ ახალციხეში, კოსტავას და თამარ მეფის ქუჩებზე ეწყობა სკვერები.

გარე განათების სისტემები: ინფრასტრუქტურული პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტიდან და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა. ახალი გარე განათებები მოეწყო მუნიციპალიტეტის 15 სოფელში და ქალაქ ვალეში.

მთის ფონდი: განხორციელდა სოფ. სხვილისის სარწყავი წყლის სისტემის და სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია.

სტიქიის სალიკვიდაციო ფონდი: ნაპირსამაგრი ნაგებობები მოეწყო მდინარე ფოცხოვზე ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქუჩის მიმდებარედ და ქალაქ ვალეში

<u>**პროგრამა „განახლებული რეგიონები“:**</u> საქართველოს პრემიერ მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ურბანული განახლების პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულდა. ქალაქის ცენტრალურ უბანში - თამარაშვილის, კოსტავას, ნათენაძის და კეცხოველის ქუჩებზე რეაბილიტაციაცია ჩაუტარდა შენობებს, მოეწყო ქალაქის ცენტრალური პარკი და სკვერები.

გამწვანების ღონისძიებები - სხვადასხვა სახეობის ახალი ნარგავებით შეივსო ქალაქის რეკრეაციული ზონები;

ქალაქ ახალციხეში საგზაო ნიშნები და მონიშვნები მოეწყო, რის შედეგად, მოქალაქეებისათვის გზებზე გადაადგილება კომფორტული და უსაფრთხოა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ, მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით 28 სახის ქვეპროგრამა განახორციელა.

2022 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით, „ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის" ფარგლებში, 6 552-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, რისთვისაც 1 642 527 ლარზე მეტი ოდენობის თანხა დაიხარჯა.

მათ შორის: ჯანმრთელობის დაცვის 7 ქვეპროგრამით დახმარება გაეწია 1987 ბენეფიციარს, ხოლო 21 სახის სოციალური დახმარებით 4565-მა ბენეფიციარმა ისარგებლა.

ბენეფიციართა ნაწილს კი რომლებიც „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესით" გათვალისწინებული პირობები ვერ დააკმაყოფილეს, დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენისა და შესწავლის საფუძველზე დახმარება მერიის სარეზერვო ფონდიდან გაეწიათ.

განათლება, კულტურა და სპორტი

2022 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა 82 ღონისძიება, მათ შორის: განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის და ტურიზმის განყოფილების მიერ ჩატარდა 40 ღონისძიება, რისთვისაც დაიხარჯა 172, 395 ლარი; კულტურისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების მიერ ჩატარდა 42 ღონისძიება, დაიხარჯა 555 800 ლარი;

აღსანიშნავია, რომ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს'', ფარგლებში, მერის სტიპენდია მიიღო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 81-მა წარჩინებულმა სტუდენტმა, ფულადი წახალისების სახით გაიცა 40 500 ლარი.

გარდა ამისა, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმატებით განხორციელდა „სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა", რომლის საერთო ღირებულება 321 709 ლარია. პროგრამას ახალციხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჰყავს 20 სკოლის 776 ბენეფიციარი.

ახლა კი მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ახალციხის მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული იურიდიული პირების მიერ გასულ წელს გაწეულ საქმიანობაზეც.

ა(ა)იპ „ ახალციხის სერვის ჯგუფი“

ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფი“-ს მიერ მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ყოველდღიურად იგვება 147 ათასი კვ. მეტრი ფართობი და დღეის მდგომარეობით ნაგავსაყრელზე გატანილია 11 000 ტონამდე საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

ორგანიზაციის მიერ მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზების მოვლა-პატრონობაზე დღემდე შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: მუნიციპალიტეტში შემავალ გზებზე მოყრილია - 261 ტონა ქვიშა-მარილის ნარევი; გზებზე ანაფრეზი დაემატა და გაიშალა - 324 კუბ.მ; გზებზე ქვიშა-ხრეში დაემატა და გაიშალა - 390 კუბ.მ; გზებზე ღორღოვანი გრუნტი დაემატა და გაიშალა - 632 კუბ.მ; გზებზე ფრაქციული ღორღი 0,40 დაემატა და გაიშალა - 518 კუბ.მ; სანიაღვრე არხში მოეწყო რკინა-ბეტონის ასაწყობი ღარები - 27 ცალი; პარაპეტები დამონტაჟდა - 9 ცალი; სოფლის გზების გვერდულებზე ბალახები გაითიბა და ბუჩქნარები გაიჩეხა - 3786 მ; ბეტონის სანიაღვრე არხები მრავალჯერადად გაიწმინდა, - 396 გრძ. მ;

ორგანიზაციის მიერ მუნიციპალიტეტის მასშტაბით გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, აღდგენა/რეაბილიტაციაზე დღემდე შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქებში შეცვლილია 600 ლედ სანათი; სკვერებში შეცლილია 572 ლამპიონის ნათურა; შეცვლილია 430 მეტრი დაზიანებული სადენი; შეკეთდა ამორტიზებული და დაზიანებული განათების ანძები, შეიღება და საჭიროების შემთხვევაში ახლით ჩანაცვლდა;

ზემოჩამოთვლილ სამუშაოებს ემსახურება და ახორციელებს ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფში" დასაქმებული 178 ადამიანი.

ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი და ნარჩენების მართვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1300-ზე მეტი ნაგვის კონტეინერია განთავსებული, 300-მდე ურნა დგას რეკრეაციულ ზონებში და ცენტრალურ ქუჩებში; ქალაქ ახალციხეს და ადმინისტრაციულ ერეთეულებს 5 ერთეული დიდი ტევადობის ნაგავმზიდი მანქანა და ამდენივე ეკიპაჟი ემსახურება, დასუფთავების ღონისძიებებში ჩართულია ასევე 4 ერთეული მცირე ზომის სპეციალური ტრანსპორტი და 1 სარწყავი მანქანა; მუნიციპალიტეტის მასშტაბით სამი საქმიანი ეზო ფუნქციონირებს; ნარჩენების შემკრები კონტეინერების სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების დაცვის მიზნით ქალაქ ახალციხეში ფუნქციონირებს სამრეცხაო და შემუშავებულია კონტეინერების რეცხვის გრაფიკი; შეიძენილი იქნა სპეცტანსაცმელი თანამშრომლებისათვის. გატარებული ღონისძიებების შედეგად მუნიციპალიტეტის სოფლებში ამ დროისთვის აღარ არსებობს არცერთი სტიქიური ნაგავსაყრელი

მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით პერიოდულად ეწყობა დასუფთავების მასშტაბური აქციები. პოლიეთილენის ბოთლების, პარკებისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო

ნარჩენებისგან იწმინდება რეკრეაციული ზონები, ქალაქისა და სოფლების შემოგარენი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტურისტულ მარშრუტებს და ცენტრალურ საგზაო მაგისტრალებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამწვანების ღონისძიებებს. ქალაქის რეაკრეაციულ ზონებში, გზისპირებზე, ცენტრალურ პარკსა და სკვერებში ირგვება სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეები, ხოლო მათ მოვლა-პატრონობას მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ ,,ახალციხის სერვის ჯგუფის" თანამშრომლები.

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის

დაწესებულება”

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 27 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც ამ ეტაპზე ჩარიცხულია 1850 აღსაზრდელი. მათ აღზრდა-განათლებას, კვებას, ჰიგიენას და ჯანმრთელობის დაცვას უზრუნველყოფს 478 თანამშრომელი. 2022 წელს სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან 4 250 000 ლარი იყო გათვალისწინებული.

კვების მიმართულებით განხორციელებული პროექტები: 2022 წელს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კვების რაციონი, რომელიც გაწერილია 5 დღეზე. მრავალფეროვანი საკვები პროდუქტებით შედგენილ ორი სახის მენიუს კვირის მონაცვლეობით იღებენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. ერთი დღისთვის გათვალისწინებული რაციონით ბავშვი ჯამში 1300 კილო კალორიამდე იღებს.

სურსათის უვნებლობის(HASSP) მართვის სისტემის დანერგვა: მიმდინარე წელს საბავშვო ბაგა-ბაღებში განხორციელდა სურსათის უვნებლობის(HASSP) მართვის სისტემის დანერგვა და დასაქმებული პერსონალის გადამზადება. 2022-2023 სასწავლო წელი HASSP-ის პროგრამის ფარგლებში რეკომენდაციების შესრულებით დაიწყო, საკვები პროდუქტების მომზადების სანიტარულ- ჰიგიენური სტანდარტის დაცვის მიზნით განახლდა სამზარეულოები. საბავშვო ბაღებში შემოსული პროდუქტი რეგულარულად მოწმდება სურსათის ეროვნული სააგენტოს, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები: საბავშვო ბაგა-ბაღები სრულად არის აღჭურვილი საჭირო ინვენტარით და სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მონიტორინგის ჯგუფი მუდმივ რეჟიმში განახორციელებს ბაღების შემოწმებას.

საბავშვო ბაგა-ბაღებში განხორციელებული პროექტები მეთოდური მიმართულებით: მიმდინარე წელს დაწესებულებამ პირველ ეტაპზე გადაამზადა 25 აღმზრდელი „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ- მოდულით“, რის შემდგომ აღმზრდელებმა წარმატებით გაიარეს ტესტირება; საბავშვო ბაგა-ბაღებს საკანცელარიო მასალა, თემატური საბავშვო ლიტერატურა და სათამაშოები გადაეცათ. ყველა სააღმზრდელო ჯგუფი უზრუნველყოფილი იქნა მეთოდური სახელმძღვანელოებით; სოფელ პამაჯის, საძელისა და წყალთბილის საბავშვო ბაგა-ბაღების პერსონალისთვის ჩატარდა სასერთიფიკაციო ტრენინგ

მოდული ორ ენაზე; სასკოლო ასაკის ჯგუფში მომუშავე აღმზრდელებისათვის ორენოვანი საგანმანათლებლო რესურსის დანერგვა მიმდინარეობს პროგრამის „სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო საფეხურებზე“ ფარგლებში; მუდმივად ხორციელდება მონიტორინგი ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების გაუმჯობესების მიზნით.

ღონისძიებები: ცნობადობის ამაღლების მიზნით, საბავშვო ბაგა-ბაღებში სხვადასხვა აქტივობები მიეძღვნა დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს და აუტიზმის კვირეულს.

2022 წელს ახალციხის საბავშვო ბაგა-ბაღების სასკოლო მზაობის ჯგუფებში, ჩატარდა მრავალფეროვანი გამოსაშვები ღონისძიებები. აღსაზრდელები ბაღში მიღებული ცოდნით, სახალისო და შემეცნებითი აქტივობებით, სიმღერებითა და ცეკვებით წარსდგნენ სტუმრების წინაშე. მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღში გაიმართა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგაზაფხული, საშემოდგომო, საახალწლო და სხვა აქტივობები. საახალწლოდ აღსაზრდელებს გადაეცათ საჩუქრები.

ელექტრონული რეგისტრაცია: ახალი 2022-2023 სასწავლო წლისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ დანერგა აღსაზრდელების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა.

არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა: ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისა და სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრის აქტიური თანამშრომლობით განხორციელდა მნიშვნელოვანი ერთობლივი პროექტები.

სამიზნე თემებში არსებულ საბავშვო ბაღებს ჩაუტარდათ ტრენინგი „სკოლამდელი დაწესებულების გარე სივრცეების მნიშვნელობაზე“, რის შემდგომ მოეწყო საბავშვო ბაგა-ბაღების გარე სივრცეები, დაიბეჭდა გზამკვლევი და საჩუქრად სამიზნე ბაღებს გადაეცათ.

სოფელ მუსხის საბავშვო ბაგა-ბაღისთვის შეძენილი იქნა ეზოს ინვენტარი სათამაშო სივრცეების მოსაწყობად. World Vision საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით, სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრის მიერ, ქ.ახალციხეში მდებარე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის სააღმზრდელო ჯგუფები აღჭურვა საჭირო ინვენტარით.

ოქტომბრის თვეში ახალციხის საბავშვო ბაღებს სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრმა მუსიკალური ტექნიკა, სათამაშოები, ნოხები და სხვადასხვა სახის ინვენტარი გადასცა.

ასოციაცია ტოლერანტისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფ 5 საბავშვო ბაგა-ბაღს ასოციაცია „ტოლერანტმა“ გადასცა ქაღალდისა და პოლიეთილენის ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნები, ასევე საინფორმაციო მასალები ნარჩენების მართვის შესახებ.

სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტები: მიმდინარე წელს ქ. ახალციხეში რუსთაველის 124-ში გაიხსნა N7 საბავშვო ბაგა-ბაღი, რომელიც სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად აღიჭურვა. მეექვსე ბაღში მოეწყო ღობე და გასართობი მოედანი; ქალაქ ახალციხის N1, N3, N5, N6 საბავშვო ბაგა-ბაღებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის და სკოლამდელი აღზრდის ერთობლივი ორგანიზებით განხორციელდა შენობის სახურავებზე მზის პანელების

მონტაჟი, ენერგოეფექტურობის პროექტი მნიშვნელოვნად შეამცირებს დაწესებულების კომუნალურ ხარჯებს.

სამეურნეო სახის ღონისძიებები: 2022 წელს დაწესებულების მიერ საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის იქნა შეძენილი სამზარეულოს ინვენტარი და სხვადასხვა ჭურჭელი; შეძენილი იქნა ელექტრო ტექნიკა: მაცივრები, ელექტროქურები, ხორცსაკეპი მანქანები, სამზარეულოებისათვის და საწყობებისათვის ჰაერის გამწოვები და სხვა; საბავშვო ბაღის მზარეულებისთვის, მზარეულის თანაშემწეებისათვის, ექთნებისთვის შეძენილი იქნა სპეციალური ტანსაცმელი; შეძენილი იქნა სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები და სამეურნეო საქონელისათვის დაიხარჯა 50000 ლარი; მცირე ინფრასტრუქტურული და სანტექნიკური პრობლემების მოგვარების მიზნით სარემონტო სამუშაოებისათვის გახარჯულია 25000 ლარი; სათამაშოების, საკანცელარიო ნივთების, საგანმანათლებლო და შემეცნებითი განვითარებისათვის საჭირო საბავშვო ლიტერატურის, თვალსაჩინოებებისა და მეთოდური მასალების შესაძენად დაიხარჯა 51 000 ლარი; მიმდინარე წელს საბავშვო ბაღებისთვის დაწესებულებამ შეიძინა მუსიკალური ინსტრუმენტი, ნოხები, ფარდები, დამზადდა ახალი ავეჯი, რასაც ჯამში 75000 ლარი მოხმარდა;

ა(ა)იპ ,,ახალციხის ციხე“

ქალაქ ახალციხეში, რაბათის ისტორიულ უბანში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურისტული ცენტრია ახალციხის ციხე. ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების და აქ არსებული ღირსშესანიშნაობების გამო მზარდია ტურისტებისა და ვიზიტორების დაინტერესება.

მიმდინარე წლის იანვარი- ნოემბრის თვეებში „ახალციხის ციხეს“ 88 772 ვიზიტორი ეწვია, მათ შორის საქართველოს მოქალაქე - 49 525, ხოლო უცხოელი ვიზიტორი - 39 247.

მიმდინარე წლის განმავლობაში, ა(ა)იპ ,,ახალციხის ციხის“ ადმინისტრაციამ კომპლექსის პოპულარიზაციისა და ტურისტების მოზიდვის მიზნით სხვადასხვა სახის აქტივობები განახორციელა.

მომზადდა და განახლდა საინფორმაციო მასალა: სარეკლამო ბროშურები, პოსტერები, გზამკვლევი და სავიზიტო ბარათები. განახლებული საინფორმაციო მასალა განთავსებული იქნა რეგიონალურ-ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საინფორმაციო ცენტრში და განთავსების ობიექტებში- სასტუმროებში.

ა(ა)იპ ,,ახალციხის ციხემ“ მონაწილეობა მიიღო, ბათუმში ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის, ,,Expo Batumi Travel 2022“ საერთაშორისო გამოფენაში, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ჩვენს ტურისტულ პოტენციალს.

განხორციელდა არსებული ვებ-გვერდის - Rabati.ge-ს მოდერნიზება და განახლება.

შეიცვალა კომპლექსის დათვალიერების საფასური, საქართველოში მოქმედ სხვადასხვა ტურისტულ ობიექტებზე არსებული ფასების შესაბამისად. წინა წლებში ბილეთის

ღირებულება ყველა ტურისტისთვის თანაბარი იყო, ხოლო მიმდინარე წელს მოხდა საქართველოს მოქალაქეებისა და უცხოელი ვიზიტორების ბილეთის საფასურის გამიჯვნა. ხოლო, საშეღავათო ჩამონათვალი უცვლელი დარჩა და ციხის ტერიტორიაზე შესვლა უფასოა: 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის; სოციალურად დაუცველ პირთათვის; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის; იძულებით გადაადგილებულ პირთათვის; ომის ვეტერანებისათვის; საქართველოში მოქმედ სხვადასხვა ტურისტულ ობიექტებზე არსებული ფასების შესაბამისად მოხდა ექსკურსიამძღოლის (გიდის) მომსახურების საფასურის ცვლილებაც. გათანაბრდა ქართულენოვანი და უცხოენოვანი გიდების მომსახურების საფასური და ფასი გაიმიჯნა ჯგუფში შემავალი ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით. ბილეთის ღირებულებისა და გიდების მომსახურების საფასურის ცვლილებამ ხელი შეუწყო „ახალციხის ციხის საკუთარი შემოსავლების ზრდას.

მემორანდუმი: ა(ა)იპ ,,ახალციხის ციხის", ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი მიზნად ისახავს: ახალციხის ციხის განვითარების ხელშეწყობას; კომერციალიზაციის გეგმის განხორციელებას; კულტურულ-შემეცნებით მხარდაჭერას ციხის პოპულარიზაციაში;

ღონისძიებები: წლის განმავლობაში „ახალციხის ციხემ" უმასპინძლა სხვადასხვა გამოფენებს, კონფერენციებს, სამუშაო შეხვედრებს, საქველმოქმედო ღონისძიებებს და სხვა.

ზაფხულის თვეებში ციხის ტერიტორიაზე ჩატარდა სხვადასხვა მუსიკალური, ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ფესტივალები, შემოქმედებითი საღამოები, კლასიკური და სოლო კონცერტები; გაიმართა საფეხბურთო მატჩების და ჩემპიონთა ლიგის თამაშების პირდაპირი ტრანსლაციები; განხორციელდა კომერციული სახის პროექტები, მათ შორის ციხის ტერიტორიაზე ვიდეო გადაღებები, რამაც დამატებით შემოსავლები მოუტანა ა(ა)იპ ახალციხის ციხეს"; აღინიშნა ტურისტული გიდების საერთაშორისო დღე და ციხის 17 თანამშრომელს პროფესიული დღესასწაული მიულოცეს; ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ციხე-კომპლექსის დათვალიერება ქალბატონებისთვის უფასო იყო; ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ ,,ახალციხის ციხის" ორგანიზებით გაიმართა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო აქცია; 26 მაისს, „ახალციხის ციხის" ტერიტორიაზე მასშტაბურად აღინიშნა დამოუკიდებლობის დღე; 30 ივნისს, ახალციხის ციხის ტერიტორიაზე წმინდა შალვა ახალციხელის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა; გაიმართა თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კამერული ორკესტრის ,,ოპერის კამერატას" კონცერტი; მასშტაბურად აღინიშნა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, რომელიც სხვადასხვა სახის აქტივობებით იყო დატვირთული; საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით მოეწყო ახალი, ყოველწლიური, ღვინის ფესტივალი „ღვინის დღეები საქართველოში"; ახალციხის ციხემ უმასპინძლა ,,პურის ფესტივალს" და სხვა.

ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი"

„ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პენსიონერების, მარტოხელა, უკიდურესად გაჭირვებული და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფას.

2022 წელს, „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებული სუბსიდია შეადგენს 193 000 ლარს. აღნიშნული თანხა ხმარდება ბენეფიციართა კვებას, კომუნალურ გადასახადებს, თანამშრომელთა ხელფასებს და დაწესებულების სხვა საჭიროებებს. გასული წლის განმავლობაში ,,ახალციხის სათნოების სახლის" უფასო სასადილოს მომსახურებით ყოველდღიურად 190-მდე ბენეფიციარი სარგებლობდა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი ს ფარგლებში, ა(ა)იპ „ახალციხის სათნოების სახლის უფასო უფასო სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციართა ოჯახებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სააღდგომოდ ერთჯერადი ფულადი დახმარება ჩაერიცხათ 50 ლარის ოდენობით, ხოლო ზამთრისთვის, გათბობის უზრუნველსაყოფად, ერთჯერადად 100 ლარი მიიღეს. გარდა ამისა, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ „ახალციხის სათნოების სახლის“ ერთობლივი ძალისხმევით ბენეფიციარებს ახალი წლისა და აღდგომის დღესასწაულებთან დაკავშირებით სასურსათო ნობათებიც გადაეცათ.

ა(ა)იპ "სამხატვრო სკოლა“

2022 წლის სექტემბრიდან, ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ - ა(ა)იპ სამხატვრო და სამუსიკო სკოლებში სწავლის ღირებულება 100%-ით ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. 2021-22 სასწავლო წელს მოსწავლეთა რაოდენობა იყო 312, ხოლო 2022 წლის 1 სექტემბრიდან მათი რაოდენობა გაიზარდა და ამჟამად კონტიგენტი შეადგენს 340 მოსწავლეს.

სკოლა მრავალფეროვან სასწავლო პროგრამას სთავაზობს მოსწავლეებს მოსწავლეები ეუფლებიან ხატვას, ფერწერას, მოდელირებას და გამოყენებით ხელოვნებას. ასევე, კომპოზიციაზე, ქანდაკებაზე, მინანქარზე, კერამიკასა და თექაზე მუშაობას. აქტიური სასწავლო პროცესის პარალალურად სკოლამ მიმდინარე წელს ორგანიზება გაუწია 7 გამოფენას. სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს მხატვარ დ.მურაჩაშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო კონკურსში, საიდანაც მე-2 და მე-3 ადგილებით დაბრუნდნენ.

2022 წლის განმავლობაში, სამხატვრო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში გამართულ საბავშვო თუ კულტურულ ღონისძიებებში.

ა(ა)იპ „ახალციხის სამუსიკო სკოლა“

ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა 67 წლისაა. იგი წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთ აქტიურ მაღალპროფესიულ დაწესებულებას. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ რაც, მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით ახალი სასწავლო წლიდან მუსიკალური სკოლაში სწავლა ყველასთვის უფასო გახდა გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა.

თუ, 2021-22 სასწავლო წლის მოსწავლეთა კონტიგენტი შეადგენდა 377-ს, 2022 წლის 1 სექტემბრიდან 454 მოსწავლეა. მათ შორის: ახალციხის სამუსიკო სკოლა - 260 მოსწავლე; ვალის სამუსიკო სკოლა - 100 მოსწავლე; აწყურის სამუსიკო სკოლა - 94 მოსწავლე.

სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ ცოდნას საფორტეპიანო, სავიოლინო, საგუნდო და ფლეიტის განხრით. ასევე, 2022-2023 სასწავლო წლისათვის გაიხსნა დასარტყამი ინსტრუმენტების განყოფილება, სადაც ამჟამად 10 მოსწავლეა. სამუსიკო სკოლაში მოსწავლეებისა და პედაგოგების მონაწილეობით სისტემატიურად ტარდება კონცერტები და ღონისძიებები. სკოლის ინიციატივით ეწყობა აქტივობები, მოზარდებში ქართული სიმღერისა და კლასიკური მუსიკისადმი ინტერესის გაზრდის მიზნით. მათ შორის საჩვენებელი კონცერტები გაიმართა მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში, სადაც პატარები სხვადასხვა ინსტრუმენტებს გაეცნენ და გამოავლინეს მუსიკისადმი ინტერესი.

კონკურსები-ფესტივალები: მიმდინარე წელს მუსიკალური სკოლის მოსწავლეები წარმატებით წარსდგნენ სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალებსა თუ კონკურსებზე და საპრიზო ადგილები დაიკავეს.

მათ შორის: ქალაქ თბილისში, კლასიკური მუსიკის მე-15 ეროვნულ კონკურსში „მომავლის ვარსკვლავები“; ქალაქ თბილისში ფესტივალ-კონკურსში „იპოვე შენი ვარსკვლავი“; ქალაქ მარნეულში, ქართული სიმღერის კონკურს-ფესტივალში „სხვა საქართველო სად არის“; ქალაქ გორში, სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა მე-11 რეგიონალურ კონკურსში; ქალაქ ბორჯომში, საერთაშორისო ფესტივალში „ჰარმონია; ქალაქ თბილისში საგუნდო მუსიკის კონკურსში „მომავლის ვარსკვლავები“; ქალაქ თბილისში საგუნდო კოლექტივების ეროვნულ კონკურსში და სხვა.

<u>ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება</u>

გაერთიანება მოიცავს - 3 კულტურის სახლს, 13 - ბიბლიოთეკას, 13 - ახალგაზრდულ ცენტრს, მუსხის სკოლა მუზეუმს და ანსამბლ ,,მესხეთს“. გაერთიანების წლიური ბიუჯეტია 513 000 ლარი.

ბიბლიოთეკები: გაერთიანება გაწევრიანებულია ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებულ საბიბლიოთეკო ასოციაციაში, საიდანაც სისტემატიურად იღებს წიგნებს ბიბლიოთეკებისათვის. 2022 წელს ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ 1000 ლარიანი ვაუჩერი მიიღო და შეძენილი იქნა წიგნები. ყოველწლიურად ხორციელდება ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდების განახლება.

ღონისძიებები: გაერთიანებაში შემავალ ობიექტებში 2022 წელს ჯამში 124 ღონისძიება ჩატარდა. კულტურის სახლებსა და ახალგაზრდულ ცენტრებში სისტემატიურად ეწყობა ახალგაზრდების ჩართულობით სხვადასხვა სპორტული და კულტურულ- შემეცნებითი ღონისძიებები. ახალგაზრდული ცენტრის ახალგაზრდები აქტიურად იღებენ მონაწილეობას მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში, საგრანტო კონკურსებში. იმართება პოეზიის საღამოები, საიუბილეო ღონისძიებები, ახალი წიგნების პრეზენტაცია და სხვადასხვა გამოფენები.

ფასიანი და უფასო წრეები: ვალის, აწყურის, ზიკილიის, გურკელ- წინუბანის, სვირის, საყუნეთის, ახალგაზრდულ ცენტრებში მოქმედებს ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი ფასიანი წრე, რომელშიც გაერთიანებულია 140 ახალგაზრდა.

ვალეს კულტურის სახლში, მუსხის და ურაველის ახალგაზრდულ ცენტრებში მოქმედებს უფასო წრეები: სპორტული, სახვითი ხელოვნების და დრამატული, რომელშიც გაერთიანებულია 60 ახალგაზრდა. მუსხის სკოლა-მუზეუმში უფასოდ მოქმედებს მატყლის დამუშავების და ქსოვის შემსწავლელი წრე, რომელშიც გაერთიანებულია 12 ახალგაზრდა. წრეებში გაერთიანებული ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში.

ანსამბლი მესხეთი: ანსამბლი ,, მესხეთი", წარმატებით მონაწილეობს, როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოს მასშტაბით გამართულ კულტურულ ღონისძიებებში.

ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება"

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. 2022 წელს განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად მოხდა მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ორი სპორტული ა(ა)იპის შერწყმა და სექტემბრის თვიდან ფუნქციონირება დაიწყო ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტულმა გაერთიანებამ".

აქ ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ სპორტის სხვადასხვა სახეობას და გამოავლინონ თავიანთი უნარები. გაერთიანებაში 14 სახეობის სპორტული წრე ფუნქციონირებს, 37 სექციაში 470 ახალგაზრდა ეუფლება სპორტის შემდეგ სახეობებს: ფეხბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი, ტაე-კვანდო, ჭადრაკი, კალათბურთი, ძიუდო, კრივი, კიკ-ბოქსინგი, მკლავჭიდი, ძალოსნობა, შერეული ორთაბრძოლები და სხვა.

მძლეოსნობის სპორტული კლუბი: ახალციხელი მძლეოსნები რომელიც წარმატებებით ასპარეზობენ მუნიციპალურ, რეგიონულ თუ ეროვნულ ჩემპიონატებში. მძლეოსნობის სპორტულმა კლუბმა მონაწილეობა მიიღო 7 გასვლით შეჯიბრებაში და ჩაატარა 2 ადგილობრივი ღონისძიება. აღნიშნული შეჯიბრებებიდან სპორტსმენები 23 ოქროს, 29 ვერცხლის და 24 ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ.

30 ივნისს, შალვა ახალციხელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში მძლეოსნობის სპორტულმა კლუბმა გეზრბენი მოაწყო. გეზრბენში მძლეოსნებთან ერთად მოყვარულები და ვეტერანებიც მონაწილეობდნენ. გამარჯვებულებს მედლები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

მძლეოსნობის სპორტული კლუბის მძლეოსანმა მინდია ენდელაძემ მორიგი წარმატება მოიპოვა მალტაში, ქალაქ მარსაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. მან 100 და 200 და მეტრიან დისტანციაზე რბენაში საპრიზო ადგილები დაიკავა, 20-მდე ქვეყნის სპორტსმენებს შორის.

სასპორტო სკოლა: 2022 წელს ქალაქ ახალციხის კომპლექსურმა სასპორტო სკოლამ მონაწილეობა მიიღო 11 გასვლით ღონისძიებაში.

„ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება“: ახლადშექმნილმა სპორტულმა გაერთიანებამ, 2022 წლის სექტემბრიდან, 9 გასვლით შეჯიბრში მიიღო მონაწილეობა ორგანიზება გაეწია 2 მასშტაბურ სპორტულ ღონისძიებას: ლევან გიორგაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს კრივში და ახალციხის საერთაშორისო ღია ჩემპიონატს მძლეოსნობაში. ახალციხელმა მძლეოსნებმა 9 ოქროს, 5 ვერცხლის, 3 ბრინჯაოს და გუნდური I პირველი ადგილი მოიპოვეს

დასასრულს, ორიოდე სიტყვით 2023 წლის გეგმების შესახებ, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი გვაქვს დაგეგმილი მიმდინარე წელსაც, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, ისე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით. ვიმედოვნებ წინ კიდევ უფრო ნაყოფიერი, საინტერესო და შინაარსიანი წელი გველოდება.

2023 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი და განსახორციელებელი პროექტები

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

1. ასპინძის ქუჩის საავტომობილო გზის და სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაცია;
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყემლანაში გზის რეაბილიტაცია (საყუნეთი-ტყემლანის დამაკავშირებელი გზა);
3. ქ. ახალციხეში ყაზბეგის ქუჩის რეაბილიტაცია;
4. ქ. ვალეში, მაჭარაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია;
5. ქ. ახალციხეში ყაზბეგის ქუჩაზე მილხიდის მოწყობა;
6. ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუგარეთში შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
7. ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების გიორგიწმინდისა და ფერსის დამაკავშირებელი ე.წ. ზედა გზის რეაბილიტაცია;

ადგილობრივი ბიუჯეტი:

1. „მლაშიხევის“ სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობის გაგრძელება- დამამთავრებელი ეტაპი;
2. ქალაქ ვალეში ვაჟა ფშაველას და სტალინის ქუჩებზე 5 საცხოვრებელი კორპუსის ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია;
3. ქ. ახალციხეში თამარაშვილის ქუჩაზე 7 მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსში სადარბაზოების რეაბილიტაცია;
4. სოფელ აწყურის შიდა გზის რეაბილიტაცია;
5. სოფელ აწყურის კულტურის სახლის დარბაზის რეაბილიტაცია;
6. სოფლების აწყურისა და თისელის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (დამამთავრებელი ეტაპი);
7. სოფელ თისელის შიდა გზის რეაბილიტაცია;
8. ასპინძის ქუჩაზე მდინარე ფოცხოვის ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა;
9. ქ. ახალციხეში ბაღინაშვილის ქუჩაზე, მე-2 ჩიხის გზის რეაბილიტაცია;
10. ქ. ახალციხეში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია (სასაფლაოსთან მისასვლელი გზა);
11. ქ. ახალციხეში, ნიკოლაძის ქუჩაზე, სოფელ აწყურში და სოფელ ანში საყრდენი კედლების მოწყობა;
12. სოფელ კლდეში ხიდის მშენებლობა;
13. სოფელ სვირში სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია;
14. სოფელ ღრელში დასასვენებელი სკვერის და სპორტული მოედნის მშენებლობა;
15. ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის ქუჩაზე კედლებისა და შენობების ფასადების რეაბილიტაცია;
16. ქალაქ ახალციხეში, ხანძთელის, მთაწმინდელისა და თამარაშვილის ქუჩებზე გზების, ტროტუარებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია;
17. ქალაქ ვალეში, თამარ მეფის ქუჩის გზის რეაბილიტაცია;
18. ქალაქ ვალეში, გოგებაშვილის, ჭავჭავაძის და ფარნავაზ მეფის ქუჩების რეაბილიტაცია;
19. გიორგიწმინდა-მუგარეთის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა;
20. ქალაქ ახალციხეში სპორტსკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი ლაზარაშვილი